სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 **იანვარი, 2026 წელი**

ბრძანება № 01-02/19

***2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის** სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობის) ვადების განსაზღვრის შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2026 წლის 9 იანვრის №1.1/1 ბრძანების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ'' **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №06-01/03 დადგენილების** საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის **გაზაფხულის** სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლისთვის **(გარე მობილობა)** განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) ბსუ-ში **გარე მობილობის** მსურველთა **ელექტრონული რეგისტრაცია** ბსუ-ს სტუდენტური **პორტალის** (portal.bsu.edu.ge) **მოდულის ,,გარე მობილობის'' საშუალებით ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 16 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით;**

ბ) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (შემდეგში - ე.წ. ,,მობილობის ჯგუფი'') მიერ ბსუ-ს პორტალის ,,გარე მობილობის'' მოდულში რეგისტრირებულ სტუდენტთა ელექტრონული განცხადების ტექნიკური გადამოწმება და დადასტურება - 2026 წლის 18 თებერვლის ჩათვლით;

გ) ამ პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში გარე მობილობის მსურველის მიერ რეგისტრაციის კორექტირება - 2026 წლის 18 თებერვლის ჩათვლით, ხოლო კორექტირებული მონაცემების გადამოწმება და დადასტურება ბსუ-ს უფლებამოსილი პირების მიერ - 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით (დოქტორანტის ნაწილში - 18 თებერვალს);

დ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით გარე მობილობის მსურველთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ (სტუდენტების მიერ არჩეულ) საგანმანათლებლო პროგრამასთან

თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით (დოქტორანტის ნაწილში - 18 თებერვალს) და ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) ატვირთვა ბსუ-ს პორტალის ,,გარე მობილობის'' მოდულის შესაბამის ველში - 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით (დოქტორანტის ნაწილში - 18 თებერვალს);

ე) ბსუ-ს პორტალის ,,გარე მობილობის'' მოდულის შესაბამის ველში ატვირთული კრედიტების აღიარების დასკვნების ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) დადასტურება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ - 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით, ხოლო **დოქტორანტურის** საგანმანათლებლო პროგრამაზე **მობილობის მსურველის კრედიტების აღიარების დასკვნის ფაკულტეტის დეკანის მიერ დადასტურება - 2026 წლის 18 თებერვალი;**

ვ) გარე მობილობის მსურველის მიერ კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ ბსუ-ს პორტალის **,,გარე მობილობის'' მოდულის საშუალებით თანხმობის ან უარყოფის ელექტრონულად დაფიქსირება** - 2026 წლის **19 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დოქტორანტურის** საგანმანათლებლო პროგრამაზე **მობილობის მსურველის მიერ - 2026 წლის 18 თებერვალი;**

ზ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველისათვის (ვინც განაცხადებს თანხმობას, ფაკულტეტის მიერ მომზადებულ კრედიტების აღიარების დასკვნაზე) ჩასატარებელი **გამოცდების** შესაბამისი ფაკულტეტის მიერ **დაგეგმვა-ორგანიზება** (სამართლებრივი აქტების პროექტების, ასევე მობილობის მსურველთა ინფორმირებისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება) და ჩატარება **- 2026 წლის 19 თებერვალს** (გამოცდების - ტესტირების-გასაუბრების ჩატარების ზუსტი დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე, მობილობის განცხადების ველში და ასევე დამატებით ეცნობება დოქტორანტობის კანდიდატებს, მიმღები ფაკულტეტის მიერ);

(შენიშვნა: სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების"** მოთხოვნათა დაცვით.

დოქტორანტობის კანდიდატისათვის სავალდებულოა გამოცდები:

1. სპეციალობაში - გასაუბრება;
2. უცხო ენის გამოცდა - ტესტირება (დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე);

თ) ბსუ-ში გარე მობილობის შედეგად შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულების გაფორმება - არაუგვიანეს 2026 წლის 20 თებერვლის 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე** (ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე, შესაბამის ველებში);

ი) მობილობის წესით ბსუ-ში ჩასარიცხ პირთა შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის** უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო **სისტემაში ელექტრონულად ასახვა** (სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა) **2026 წლის 20 თებერვალი.**

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში

გადმოსვლის (გარე მობილობა) **გამოცხადების შესახებ ინფორმაციის** მომზადება ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, წინამდებარე ბრძანებისა და 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის **№06-01/03 დადგენილების** მოთხოვნათა დაცვით (მათ შორის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის შესაბამისი დამატებითი ინფორმაციის მითითებით) და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა (web@bsu.edu.ge) ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუკ გვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

3. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა, **სამეცნიერო კვლევების სამსახურმა** (მხოლოდ დოქტორანტურის პროგრამაზე მობილობის ნაწილში) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყონ ბსუ-ში მობილობის პროცესის წარმართვა, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის" და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბსუ-ს **სამეცნიერო კვლევების სამსახურმა,** შესაბამის ფაკულტეტთან თანამშრომლობით და რექტორის მოადგილის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით კოორდინირებით, უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრის მობილობის ფარგლებში ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების** კომისიების შექმნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება-გამოცემის პროცესის ხელშეწყობა.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**